

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ამერიკათმცოდნეობა

XXI საუკუნის ამერიკის მულტიკულტურული საშუალო განათლება
– პრობლემები და პერსპექტივები

ირმა მესირიძე

სადოქტორო დისერტაციის
ავტორეფერატი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
(ამერიკათმცოდნეობის სპეციალობით)

თბილისი, 2010

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დოქტ. ირინა ბახტაძე

.....

ექსპერტი: პროფ. დოქტ. ნათელა დოდონაძე

.....

ოპონენტები:

პროფ. დოქტ. მანანა ღარიბაშვილი

.....

ასოც. პროფ. დოქტ. ლალი ჯოხაძე

.....

XXI საუკუნის ამერიკის მულტიკულტურული საშუალო განათლება

– პრობლემები და პერსპექტივები

XXI საუკუნის მსოფლიოს სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი პრობლემაა რასობრივი, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური მრავალფეროვნებისა და ამავდროულად სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც კვლავ რჩება მასობრივი იმიგრაციის მიმზიდველ ქვეყნად, წარმოადგენს ამ პრობლემის წინაშე მდგომ ერთ-ერთ სახელმწიფოს.

შეერთებული შტატების პოლიტიკური, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები ქვეყანაში არსებულ საშუალო განათლების საკითხს XXI საუკუნეში უფრო მეტად პრობლემატურს ხდის. სკოლების რეორგანიზაციაზე მთელი რიგი ფაქტორები ახდენს ზეგავლენას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერთის მხრივ, გლობალური პოლიტიკა და მეორეს მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა.

იმიგრაციის ზრდის სწრაფი ტემპი აქტუალურს ხდის შემდეგ საკითხს: აპირებს თუ არა ამერიკა გადაუხვიოს იმიგრანტთა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის ტრადიციულ პოლიტიკურ კურსს და უარი განაცხადოს ახალი იმიგრანტების განათლებისა და მათი წარმატების მიღწევების თანაბარ შესაძლებლობებზე? თუ ეს საკითხი არ შეესაბამება არსებულ რეალობას, მაშინ როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ 6.7 მილიონი იმიგრანტის 50% საშუალო განათლების გარეშე რჩება?

ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკა არცთუ ყოველთვის ლიბერალურად უდგებოდა იმიგრანტთა განათლების პრობლემას. იმიგრანტთა განათლების ცალკე საკითხად გამოყოფა შეუძლებელია, რადგან იგი მჭიდრო კავშირშია ისეთ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან, როგორცაა სიღარიბე, დისკრიმინაცია, კანონმდებლობის შეუსაბამობა და სხვ.

ამერიკის მიმდინარე პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია მულტიკულტურული საშუალო განათლება. 1950-1960 წლებში, სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის პერიოდში, მულტიკულტურული განათლების მოძრაობა ფოკუსირებას ახდენდა აფრიკელ-ამერიკელების, მკვიდრი-

ამერიკელების, მექსიკელი-ამერიკელებისა და პუერტო-რიკოელების განათლების მიღების არათანასწორუფლებიან შესაძლებლობებზე.

1970 წლისთვის მოძრაობამ მოიცვა გენდერული, დაბალი სოციალური ფენისა და შეზღუდული უფლებების მქონე სოციალური კლასის პრობლემებიც. 1980-1990 წლებში მოძრაობა გაფართოვდა და მას დაემატა იმიგრანტთა განათლების საკითხები. მოგვიანებით, მულტიკულტურულმა განათლებამ მიზნად დაისახა ეროვნულ უმცირესობებში არსებული სხვადასხვა კულტურული ჯგუფების სოციალური თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა, და დღესდღეობით, ყოველივე ზემოთხსენებული პრობლემის ერთდროულად გადაჭრა მულტიკულტურული განათლების მოძრაობის უმთავრესი მიზანია აშშ-ში.

ნაშრომის პრობლემის აქტუალურობა

ნაშრომში განხილული პრობლემები აქტუალურია არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, არამედ სხვა მრავალეროვანი სახელმწიფოებისთვისაც, მათ შორის, საქართველოსთვის. თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი ეხება უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ, სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს და ცდილობს:

- მოიძიოს პასუხი იმიგრანტთა განათლების მიმართ ამერიკის არსებულ პოლიტიკაზე, მის დადებით და ნაკლოვან მხარეებზე;
- განიხილოს ახალ იმიგრანტთა და ეროვნულ უმცირესობათა სასკოლო განათლების პოლიტიკაში გატარებული რეფორმები და მისი შედეგები;
- წარმოაჩინოს საშუალო სკოლების არსებულ კურიკულუმებში საჭირო ცვლილებების გატარების აუცილებლობა;
- გამოკვეთოს სწავლების პროცესში მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის (PTA), აგრეთვე სკოლის პრობლემებით დაინტერესებული ადგილობრივი საზოგადოების მნიშვნელოვანი როლი სამართლიანი, მაღალხარისხიანი და თანასწორუფლებიანი განათლების მისაღწევად;
- შემოგვთავაზოს სავარაუდო გზები მულტიკულტურულ განათლებაში არსებული პრობლემების ეფექტურად მოგვარებისთვის.

კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავს:

- ამერიკის საშუალო განათლებაში მულტიკულტურიზმის პრობლემის შესწავლას და გაშუქებას;
- ამ პრობლემის ანალიზს მიმდინარე ლოკალურ და გლობალურ ცვლილებათა ფონზე;
- საგანმანათლებლო კონტექსტში საშუალო განათლების დონეზე არსებული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, ჩემი თვალსაზრისის წარმოჩენას და პრობლემის ეფექტური მართვის სტრატეგიის შეთავაზებას.

კვლევის პრობლემა

ნაშრომში კვლევის პრობლემები შემდეგნაირად არის დასმული:

- საშუალო განათლების მიღების რა შესაძლებლობებით უნდა უზრუნველყოს ამერიკამ თავისი მულტიკულტურული საზოგადოება XXI საუკუნეში? რა უნდა დაისახოს საშუალო განათლების მიზნებად და ამოცანებად, რათა ადეკვატური პასუხი გაეცეს იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ამერიკა დგას ახალ ათასწლეულში?
- რა ძირითადი ცვლილებები და გარდაქმნები უნდა განხორციელდეს ამერიკის მულტიკულტურული საშუალო განათლების პრობლემების ეფექტურად მართვისათვის? რა როლი ენიჭება ადგილობრივ და არა მარტო ადგილობრივ, არამედ მთლიანად საზოგადოებას ამ პრობლემასთან მიმართებაში?
- რა მიდგომა უნდა შემუშავდეს საშუალო სკოლებში ინგლისური ენის გამოყენების მიმართ, და რა პოლიტიკას უნდა ატარებდეს სახელმწიფო ინგლისური ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ძირითად სწავლების ენად განმტკიცებისთვის?

ნაშრომში ასევე აქტუალურად არის მიჩნეული და შესაბამისად შესწავლილი ისეთი პრობლემები, როგორცაა:

- გასულ საუკუნეში საშუალო სკოლებში გატარებული რეფორმები;
- სკოლის კურიკულუმებში განხორციელებული ცვლილებები;
- სკოლის მართვის ტიპები;
- მულტიკულტურული კლასისათვის დამახასიათებელი სწავლების მეთოდები;
- ადგილობრივი საზოგადოების, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის როლი სასკოლო განათლებაში;
- მასწავლებელთა გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.

კვლევის ჰიპოთეზა

დისერტაციის მიზანია **ჰიპოთეზის** პრაქტიკული დადასტურება, ანუ იმისა, რომ მაღალხარისხიანი მულტიკულტურული საშუალო განათლება ნამდვილად წარმოდგენს ერთ-ერთ გზას, რომლითაც ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაძლებელია ეროვნული მთლიანობის შენარჩუნება საზოგადოების მრავალფეროვნების საფუძველზე. თუმცა, ჩემი აზრით, XXI საუკუნის ამერიკის მულტიკულტურულ საშუალო განათლებაში მთელი რიგი ცვლილებების გატარებაა საჭირო იმისათვის, რომ მან შეძლოს უპასუხოს იმ დიდ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დღეს დგას სახელმწიფო და ამერიკელი ერი.

კვლევის სიახლე


ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული თუ პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე შევეცადე შემემუშავებინა ორიგინალური მიდგომა მულტიკულტურული საშუალო განათლების მიმართ, რაც უკეთ წარმოაჩენდა ამერიკის სკოლის საუკეთესო ტრადიციებს, მიზნებსა და ამოცანებს ახალ ეპოქაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სისტემური მიდგომა, რომელსაც შემდგომში მოვიხსენიებ როგორც „მოდელს“, მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მიზნებს;
- მონაწილეებს;
- სკოლის მართვას;
- სკოლის სტრუქტურას;
- კურიკულუმს;
- მშობელთა და ადგილობრივი საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სასკოლო პროცესში;

- სწავლების ენას;
- სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს;
- მასწავლებელთა გადამზადებას.

პირველ სურათზე თვალსაჩინოაა წარმოდგენილი მოდელის სისტემური ერთობლიობა.

სურ.1. ამერიკის შეერთებული შტატების მულტიკულტურული საშუალო განათლების სამომავლო მოდელის კომპონენტები



წარმოდგენილი მოდელის მთავარი მიზანია შეინარჩუნოს ამერიკის ეროვნული მთლიანობა საზოგადოების ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად, ამავედროულად, გააუმჯობესოს სხვადასხვა კულტურის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები და უზრუნველყოს მათთვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები.

მოდელის თითოეულ ელემენტს აქვს განსაკუთრებული დატვირთვა, რაც დისერტაციაში დაწვრილებით არის განხილული. მოდელის შემადგენელი ნაწილების ჰარმონიული ურთიერთკავშირი შექმნის მტკიცე საფუძველს წარმატებული დემოკრატიული სწავლებისთვის, დაბალი სოციალური ფენისა და სხვადასხვა კულტურული ჯგუფების წარმომადგენლების აკადემიური წინსვლისთვის, ეთნიკური უმცირესობების ამერიკის საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის, ამავედროულად, მათი კულტურული და ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების შენარჩუნებისთვის.

ჩემს მიერ შემოთავაზებული მოდელის ორიგინალობა ისაა, რომ ის ერთმანეთთან აკავშირებს ხუთ ძირითად კომპონენტს: მოსწავლეს, სკოლას, მშობელს, ადგილობრივ საზოგადოებას და გარემოს. ამ ხუთი კომპონენტის ერთმანეთთან დაკავშირებით მოდელი ცდილობს მოახდინოს მათი მიზნების, ამოცანებისა და სტრატეგიების ინტეგრირება არსებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრისათვის. რა თქმა უნდა, ზემოხსენებულ კომპონენტებს შორის კავშირი ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს სიახლედ. სინამდვილეში, პრობლემისადმი ახლებური მიდგომის და ამ ხუთ კომპონენტს შორის ჩამოყალიბებული ახლებური დამოკიდებულების, ურთიერთთანადგომის, რწმენისა და ურთიერთნდობის შედეგად, წარმოდგენილი მოდელი საინტერესო იქნება საზოგადოების შემდგომი კრიტიკისა და განხილვისთვის.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომი პრაქტიკულად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი ფართოდ ეხება კურიკულუმების საკითხს და სკოლის მართვასა და განვითარების საქმეში მშობლების, მასწავლებლების და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობას. დისერტაციაში მოყვანილი სხვადასხვა საშუალო სკოლის კურიკულუმების

კრიტიკული ანალიზი ნათლად ასახავს თითოეული ტიპის კურიკულუმის ძლიერ და სუსტ მხარეებს. კურიკულუმის მთავარი მიზნებია:

- თითოეული მოქალაქის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა;
- ქვეყნისა და თითოეული ინდივიდის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ქვეყნის უზრუნველყოფა კარგად გაწვრთნილი მუშახელით;
- მოქალაქეობრივი მოვალეობების აღქმის უნარის ამაღლება;
- ეროვნული ფასეულობებისა და პოლიტიკური კულტურის თაობებზე გადაცემა.

აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ კურიკულუმის შემუშავების შესახებ ნაშრომში მოყვანილი მსჯელობები და ჩემ მიერ შემოთავაზებული კურიკულუმის მოდელი, რომელსაც შესაფერისად მივიჩნევ მულტიკულტურული განათლებისთვის, ასევე საინტერესო იქნება სხვა ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით საქართველოსთვის, რომელიც იმავე პრობლემას აწყდება საშუალო განათლებაში.

კვლევის მეთოდები

ჩემი დისერტაცია ეფუძნება როგორც რაოდენობრივ ისე ხარისხობრივ კვლევის მეთოდებს. ამერიკის საშუალო სკოლადამთავრებულ სტუდენტებს კითხვარების საშუალებით ჩაუტარდათ გამოკითხვა ონ-ლაინ რეჟიმში, რათა თვალნათელი გამხდარიყო მათი აზრი ნაშრომში განხილულ მულტიკულტურული განათლების პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით. მე დავინტერესდი მათი დამოკიდებულებით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, როგორცაა:

- საშუალო სკოლის კურიკულუმები;
- ბილინგვური პროგრამები;

- მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციისა და ადგილობრივი საზოგადოების როლი სწავლების პროცესში და სხვ.

გამოკითხვის შედეგებით დადასტურდა დისერტაციის ჰიპოთეზის მართებულობა.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- შესავალი;
- 4 თავი;
- დასკვნა;
- ბიბლიოგრაფია;
- 11 დანართი.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ამერიკის სასკოლო განათლების ისტორიული საფუძვლები, 1900 წლიდან არსებული განათლების ადმინისტრირების სამი ძირითადი მოდელი, განათლების პოლიტიკური ასპექტები და ადმინისტრაციული სტრუქტურა. გაანალიზებულია განათლებაში არსებული სირთულეები, აგრეთვე XX და XXI საუკუნეებში გატარებული რეფორმები.

მეორე თავი ფოკუსირებას ახდენს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ეთნოსის, რასის და კულტურის ცნება, დემოგრაფიული ცვლილებები და იმიგრანტთა განათლება.

დისერტაციის მესამე თავი წარმოგვიდგენს ნაშრომის ძირითად ბირთვს და ეხება ამერიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას – მულტიკულტურულ განათლებას. კონკრეტულად, იგი ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა: შეერთებული შტატების საშუალო სკოლები, საშუალო სკოლის კურიკულუმები, კულტურულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული სირთულეები, რომელთა წინაშეც დგანან სკოლის მასწავლებლები XXI საუკუნეში, და ამ პრობლემების მოსაგვარებლად დასახული სავარაუდო გზები.


მეოთხე თავში დაწვრილებითაა განხილული ადგილობრივი საზოგადოებისა და მშობელთა როლი სწავლების პროცესში, რაც სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით საფუძვლიანადაა მიჩნეული უმცირესობათა განათლების პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად. მეოთხე თავის მეორე ნაწილი მოიცავს ამერიკის საშუალო სკოლადამთავრებულთა გამოკითხვის საფუძველზე მიღებულ კვლევის შედეგებსა და ანალიზს. შედეგებმა დაადასტურა ჩემ კვლევაში დასახული პრობლემების სისწორე და ცხადყო ის ფაქტი, რომ არსებული პრობლემები უმნიშვნელოვანესია ამერიკის მოქალაქეთათვის. კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ თითოეულმა რესპონდენტმა თავის თავზე გამოცადა ამერიკის საშუალო სკოლის სუსტი მხარეები და გაითავისა ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატების მულტიკულტურული საშუალო განათლება საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს. მეოთხე თავის დასასრულს, ჩემ მიერ წარმოდგენილი ამერიკის მულტიკულტურული საშუალო განათლების სამომავლო მოდელი არის ჩემი თვალთახედვა იმ შესაძლებლობისა, რითაც შეიძლება უფრო ეფექტურად მოგვარდეს უმცირესობათა განათლების პრობლემა მულტიკულტურულ ამერიკაში, ამავედროულად, კულტურათა და ხალხთა მარავალფეროვნება წარმოჩენილ იქნეს ერთ მთლიან ამერიკულ საზოგადოებად და ერთად.

კვლევის შედეგები

ჩემ მიერ ჩატარებული გამოკითხვა წარმოადგენს კითხვარზე დაფუძნებულ ემპირიულ კვლევას, რომლის მიზანი იყო წარმოეჩინა სხვადასხვა ეროვნების ამერიკის საშუალო სკოლადამთავრებულთა დამოკიდებულება ნაშრომში განხილულ მულტიკულტურული განათლებისთვის დამახასიათებელ კომპონენტთა მიმართ. ამავედროულად, ნაშრომში ამერიკის მულტიკულტურული საშუალო განათლების რეალური სურათი არის წარმოჩენილი.

კითხვარი შეავსო 100-მა რესპონდენტმა. პსუხების ანალიზიდან გამოირკვა, რომ გამოკითხულთა 43%-მა საშუალო სკოლა დაამთავრა 2008 წელს. რესპონდენტთა ჯგუფი მრავალენოვანი აღმოჩნდა, მაგრამ მიღებული შედეგებით აშკარად გამოიყო ორი დიდი ენობრივი ჯგუფი, ესენია: ინგლისურენოვანი ჯგუფი (38%) და ესპანურენოვანი ჯგუფი (32%).

სურ. 2. რესპონდენტთა მშობლიური ენის პროცენტული მაჩვენებელი



კითხვარით მოპოვებული შედეგები შეჯამდა და ჩაუტარდა საერთო და შედარებითი ანალიზი, რასაც თვალსაჩინოებისთვის დისერტაციაში თან დაევრთე 28 გრაფიკული სურათი. ანალიზების საერთო სურათიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება დისერტაციაში ჩემ მიერ წამოჭრილ საკითხებს.

თვალსაჩინოებისთვის მსურს წარმოგიდგინოთ ძირითადად მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც გამოიკვეთა ორი დიდი ენობრივი ჯგუფის პასუხების შედარებით, რამაც ცხადყო იმ საჭირო ზომების მიღება, რაც გააუმჯობესებს ამერიკის მულტიკულტურულ საშუალო განათლებას.

ერთ-ერთი შეკითხვა, რომელიც დაესვათ რესპონდენტებს, იყო:

➤ რა ცვლილებების გატარებაა საჭირო საშუალო სკოლის კურიკულუმში, რათა მოხდეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო და სოციალური მიზნების წარმატებით განხორციელება? სავარაუდო ზომებად დასახელდა შემდეგი პუნქტები, რაზეც კვლევის მონაწილეებს უნდა დაეფიქსირებინათ თავიანთი დადებითი ან უარყოფითი პასუხი:

ა) მულტიკულტურიზმთან დაკავშირებული აკადემიური საგნების დამატება;


ბ) მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციისა (PTA) და ადგილობრივი საზოგადოების პროგრამების შემოღება;

გ) ახალი აკადემიური პროგრამების შემოღება;

დ) გარდამავალი ბილინგვური პროგრამის გატარების აუცილებლობა სასწავლო პროცესის დაწყებით საფეხურზე.

მე-3 სურათის თანახმად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ამერიკის არსებულ საშუალო განათლებაში მულტიკულტურიზმთან დაკავშირებული აკადემიური საგნების სიმწირე აშკარად შესამჩნევია, რაც თავისთავად მოითხოვს ამგვარი საგნების კურიკულუმში დამატებას.


სურ. 3. მულტიკულტურიზმთან დაკავშირებული აკადემიური საგნების დამატების აუცილებლობა



მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციისა (PTA) და ადგილობრივი საზოგადოების პროგრამების შემოღების იდეა დადებითად შეფასდა ინგლისურენოვანი ჯგუფის 68.4%-ით და ესპანურენოვანი ჯგუფის 71.9%-ით, რაც ასევე ადასტურებს ამგვარი პროგრამების შემოღების აუცილებლობას სასწავლო


პროცესში, რათა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო და სოციალური მიზნები წარმატებით განხორციელდეს.

სურ. 4. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციისა (PTA) და ადგილობრივი საზოგადოების პროგრამების შემოღების აუცილებლობა




ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეების საგანმანათლებლო და სოციალური მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის ახალი აკადემიური პროგრამების შემოღებას მხარი დაუჭირა ინგლისურენოვანი ჯგუფის 55.3%-მა და ესპანურენოვანი ჯგუფის 56.3 %-მა; რაც, ჩემი აზრით, შეიძლება ნაკარნახევი იყოს რესპონდენტთა საშუალო სკოლის კურიკულუმებში არსებული აკადემიური პროგრამების დაბალი ეფექტურობით.

სურ. 5. ახალი აკადემიური პროგრამების შემოღების აუცილებლობა



გარდამავალი ბილინგუური პროგრამის განხორციელებას სასწავლო პროცესის დაწყებით საფეხურზე მხარი დაუჭირა ესპანურენოვანი ჯგუფის 65.6%-მა; რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები თვლიან, რომ ასეთი პროგრამა მათ ეხმარება სასწავლო პროცესში წარმატების მიღწევაში. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინგლისურენოვანი ჯგუფის 60.5%-მა ასევე დადებითად შეაფასა გარდამავალი ბილინგუური პროგრამების აუცილებლობა სასწავლო პროცესის დაწყებით საფეხურზე.

სურ. 6. გარდამავალი ბილინგუური პროგრამის გატარების აუცილებლობა სასწავლო პროცესის დაწყებით საფეხურზე.



ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შემიძლია განვაცხადო, რომ რესპონდენტთა აზრი და დისერტაციაში მოყვანილი მსჯელობა მულტიკულტურული საშუალო განათლების შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. აგრეთვე კვლევამ ცხადყო, თუ რა ნაკლოვანებები არსებობს მულტიკულტურულ საშუალო განათლებაში და რა გზებით შეიძლება აღმოფხვრათ ისინი. ასევე აღსანიშნავია ორი სხვადასხვა ენობრივი ჯგუფის რესპონდენტთა აზრების თანხვედრა კითხვარში წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით და იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ ამერიკის მულტიკულტურული საშუალო განათლება აწყდება გარკვეულ პრობლემებს, რაც შესაძლებელია მოგვარდეს საჭირო ცვლილებების განხორციელების ფონზე.

ანალიზის შედეგებმა გარკვეული აზრი ჩამომიყალიბა ამერიკის არსებულ მულტიკულტურულ საშუალო განათლებაზე და შემძინა გამბედაობა ჩემ მიერ შემუშავებული ამერიკის მულტიკულტურული საშუალო განათლების სამომავლო მოდელი წარმომედგინა, როგორც ნაშრომის სიახლე თავისი მონაწილეებითა და ასპექტებით.

დასკვნა

ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ანალიზს შემდეგ დასკვნამდე მივყავართ:

➤ უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ერებისა და კულტურების ერთ ერად ჩამოყალიბება. სკოლები მოისაზრებოდა გარკვეული ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომ სოციალურ კიბედ და იმიგრანტთა „ამერიკელებად“ ჩამოყალიბების ერთ-ერთ საშუალებად. სამოქალაქო უფლებების დასაცავად დაწყებული მოძრაობის (1955-1968წწ.) შემდგომ პერიოდში, განათლების სისტემამ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო სხვადასხვა ეკონომიკური, ეთნიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური ჯგუფებიდან წამოსული ბავშვების განათლებას.

დღესდღეობით ამერიკის მრავალეროვანი საზოგადოების კულტურული სეგმენტების და, ამავდროულად, ისეთი სახელმწიფოს შენარჩუნება, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი სახელმწიფოს სტრუქტურულ ნაწილად იგრძნობს თავს, შეერთებული შტატების სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

➤ ჩემი ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს ამერიკის შეერთებული შტატების მულტიკულტურული საშუალო განათლების ძლიერი და სუსტი მხარეები თემაში მოყვანილ მეცნიერთა საფუძვლიანი მსჯელობებისა და ჩემ მიერ ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე.

ეთნიკური, ენობრივი, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების მზარდი ტემპი დამახასიათებელია არა მარტო ამერიკისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. განათლების სისტემა უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა ისეთ განათლებას, რომელიც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მოღვაწეობას XXI

საუკუნეში არა მარტო თავიანთი კულტურის საზოგადოებაში, არამედ მის მიღმადაც. ამის მისაღწევად კი საჭიროა თვით მოსწავლეთა უდიდესი სურვილი, ჩამოაყალიბონ ერთიანი სამოქალაქო კულტურა. საზოგადოების ერთობას მრავალფეროვნების გარეშე მივყავართ კულტურულ ჰეგემონიამდე. ხოლო საზოგადოების მრავალფეროვნება გარკვეული ერთობის გარეშე სახელმწიფოს დაშლაში აისახება. საზოგადოებრივი ერთობა და მრავალფეროვნება ბალანსირებული უნდა იყოს ისეთ მრავალკულტურულ დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

➤ დემოკრატიული ამერიკისა და მისი განათლების სისტემის უმთავრეს მიზნად უნდა იქცეს ეროვნული მთლიანობის შენარჩუნება საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების საფუძველზე. ამის მიღწევა შესაძლებელია მთავრობის, განათლების სისტემისა და მთლიანად საზოგადოების კეთილი ნებასურვილითა და თანამშრომლობით.

➤ მულტიკულტურული განათლება მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციისა და ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობით, მთავრობის ფინანსური დახმარებით და საგანმანათლებლო პროცესში საჭირო რეფორმების გატარებით შეძლებს უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სასკოლო განათლება, რომელიც სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებს დაეხმარება ჩამოყალიბდნენ მოაზროვნე პიროვნებებად არა მარტო თავიანთი კულტურის საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის, არამედ გლობალური საზოგადოებისთვისაც.

➤ სასწავლო პროგრამებისა და კურიკულუმების მთავარ მიზნად უნდა დაისახოს თანაბარი საგანმანათლებლო უფლებების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ყველა მოქალაქისთვის განურჩევლად ერისა, სქესისა და კლასის, რაც თავისთავად მოახდენს:

ა) თითოეული ინდივიდის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგრძნების ამაღლებას;

ბ) ეთნიკური უმცირესობების აკადემიური წინსვლის ზრდას და მათ ინტეგრირებას ამერიკულ საზოგადოებაში;

გ) სახელმწიფოს მორალური ფასეულობების გადაცემას და

დ) ამავდროულად, თითოეული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების კულტურული და ეროვნული ფასეულობების პატივისცემას დემოკრატიულ ამერიკაში.

კვლევის შედეგად გამოკვეთილი სასურველი ცვლილებები მდგომარეობს შემდეგში:

➤ მულტიკულტურიზმთან დაკავშირებული ახალი აკადემიური საგნებისა და პროგრამების შემოღება;

➤ მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციისა და ადგილობრივი საზოგადოების როლის გააქტიურება, რათა სკოლაში აღმოიფხვრას ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემები;

➤ მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციისა და ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა ისეთ საკითხებში, როგორცაა:

ა) სახელმძღვანელოების შერჩევა;

ბ) კურიკულუმის შედგენა;

გ) ეთნიკური უმცირესობების ამერიკის საზოგადოებაში ინტეგრირებაზე

ზეგავლენის მოხდენა;

დ) კალსგარეშე აქტივობების ორგანიზება.

➤ სწავლების მთავარ ენად ინგლისური ენის დამკვიდრების პრობლემა მუდამ საკამათო საკითხს წარმოადგენდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნაშრომიდან ჩანს, რომ ინგლისური ენა საკვანძო ელემენტია ამერიკის საზოგადოებაში იმიგრანტთა ინტეგრირებისთვის. ამავდროულად, დასტურდება ის ფაქტიც, რომ გარდამავალი ბილინგვური პროგრამების აუცილებლობა სწავლების პროცესის ელემენტარულ საფეხურზე გარდაუვალია. ტიპური გარდამავალი ბილინგვური პროგრამები მოიცავს 3 წელიწადს, რაც დიდი შედეგებით მაინცდამაინც არ გამოირჩევა, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევ ამ პროგრამების პერიოდის 4-დან 5 წლამდე გაზრდას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომმა შეძლო კვლევაში ჩამოყალიბებული **ჰიპოთეზის** დადასტურება, რომ მაღალხარისხიანი მულტიკულტურული საშუალო განათლება წარმოადგენს ერთ-ერთ გზას, რომელსაც შესწევს უნარი მოახდინოს ეროვნული მთლიანობის შენარჩუნება საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების საფუძველზე ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომ XXI საუკუნის ამერიკის მულტიკულტურულ საშუალო განათლებაში მთელი რიგი ცვლილებების გატარებაა საჭირო.

რა თქმა უნდა, ეს რთული დაუსრულებელი პროცესია, მაგრამ, ამავდროულად, ვაღიარებ, რომ არსებობს გზები, რომლებიც ამ პროცესს უფრო მოქნილს გახდის როგორც ამერიკის საზოგადოების, ისე ამერიკის სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი ასახულია შემდეგ
პუბლიკაციებში:

1. Mesiridze, I. (2008). Hispanics and California. *American Studies Periodical*. Tbilisi: International Black Sea University. p. 45-55
2. Mesiridze, I. (2009). The Challenges of Hispanic Education in California: Bilingual Education. *Intercultural Communications, Intercultural Relations Society*. № 6-7. Tbilisi. ISSN 1512-4363 p.213-218
3. Mesiridze, I. (2009). 21st Century Calls for Community Education. *Application Appendix to the Journal ``Newsletters`` of Academy of Education Sciences of Georgia* № 13, Tbilisi. ISSN 1512-102X. p. 43-47
4. Mesiridze, I. (2009). Aspects of Bilingual Education. *Scientific Journal ``Scripta Manent``*. №2, Tbilisi. p. 19-22
5. Mesiridze, I. (2009). Parents' Choice and School Involvement Dilemmas in U.S. *International Communications, Intercultural Relations Societ*, № 8, Tbilisi ISSN 1512-4363 p. 214-218
6. Mesiridze, I. (2009). Engaging Parents, Youth and Schools in Developing Academic Success. *IBSU Scientific Journal*. Tbilisi. (accepted for publication)
7. Mesiridze, I. (2009). The Scope of Multicultural Education. *American Studies Periodical*. Tbilisi. (accepted for publication)